ჯიდუ კრიშნამურტი

# პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

THE FIRST AND LAST FREEDOM

გამომცემლობა აქტი
თბილისი – 2022

„პირველი და უკანასკნელი თავისუფლება“ ყველაზე კითხვადი წიგნია ავტორის შემოქმედებაში და ყველაზე ხშირად გამოიცემა.

საუბრების ამ წიგნში განხილულია ცხოვრების ფუნდამენტური საკითხები. რატომ არის ადამიანების ცხოვრებაში ასე ბევრი არაადამიანური? როგორ ვართ ჩვენ მოწყობილი? რა არის ჩვენში ისეთი, რაც ხელს უშლის ჩვენს ნამდვილ შინაგან თავისუფლებას? რა არის ჩვენში ისეთი, რაც გვაიძულებს ვიტანჯოთ და თავისუფალი ცხოვრების საშუალებას გვისპობს? შეუძლია თუ არა ადამიანს შეცვალოს საკუთარი თავი? შესაძლებელია თუ არა, რომ კონფლიქტების, პრობლემების, ომების გარეშე ვიცხოვროთ? რატომ უპირისპირდება ერთი ხალხი მეორეს, ადამიანების ერთი ჯგუფი მეორეს, ერთი ადამიანი მეორეს? ამ და სხვა უმნიშვნელოვანეს და უარსებითეს საკითხებზე მსჯელობს ავტორი ამ წიგნში.

ავტორი: ჯიდუ კრიშნამურტი
მთარგმნელი: გია ბერაძე
კორექტორი: როზა ადამია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

პირველი გამოცემა, 2022

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4381-5

# სარჩევი

ავტორის შესახებ ........................................ 6

**პირველი ნაწილი ........................................ 11**

თავი I ........................................ 11

შესავალი ........................................ 11

თავი II ........................................ 22

რას ვეძებთ ჩვენ ........................................ 22

თავი III ........................................ 29

პიროვნება და საზოგადოება ........................................ 29

თავი IV ........................................ 39

თვითშემეცნება ........................................ 39

თავი V ........................................ 49

მოქმედება და იდეა ........................................ 49

თავი VI ........................................ 57

რწმენა ........................................ 57

თავი VII ........................................ 68

ძალისხმევა ........................................ 68

თავი VIII ........................................ 75

წინააღმდეგობა ........................................ 75

თავი IX ........................................ 82

რა არის ჩვენი „თვითობა“ ........................................ 82

თავი X ........................................ 91

შიში ........................................ 91

თავი XI ........................................ 97

უბრალოება ........................................ 97

თავი XII ........................................................................................ 104
გაცნობიერება ............................................................................... 104
თავი XIII........................................................................................ 111
სურვილი........................................................................................ 111
თავი XIV ........................................................................................117
ურთიერთობა და იზოლაცია...........................................................117
თავი XV .........................................................................................122
მოაზროვნე და აზრი .......................................................................122
თავი XVI ........................................................................................ 126
შეუძლია თუ არა აზროვნებას
გადაწყვიტოს ჩვენი პრობლემები ................................................ 126
თავი XVII........................................................................................ 132
გონების ფუნქცია............................................................................ 132
თავი XVIII....................................................................................... 139
თვითმოტყუება ............................................................................... 139
თავი XIX......................................................................................... 146
ეგოცენტრული აქტივობა................................................................ 146
თავი XX........................................................................................... 153
დრო და ტრანსფორმაცია................................................................ 153
თავი XXI......................................................................................... 159
შემოქმედებითი ძალა და გაცნობიერება.......................................159

**მეორე ნაწილი**
**შეკითხვები და პასუხები ............................................................ 168**
1. თანამედროვე კრიზისის შესახებ ...............................................168
2. ნაციონალიზმის შესახებ ............................................................ 171
3. რისთვის არის საჭირო სულიერი მასწავლებლები? ................ 173
4. ცოდნის შესახებ ...........................................................................177
5. დისციპლინის შესახებ ................................................................ 181
6. მარტოობის შესახებ.................................................................... 190
7. ტანჯვის შესახებ .......................................................................... 193
8. გაცნობიერების შესახებ ............................................................. 197
9. ურთიერთობის შესახებ ...............................................................202
10. ომის შესახებ ..............................................................................207

11. შიშის შესახებ ..... 212
12. მოწყენილობისა და ინტერესის შესახებ ..... 216
13. სიძულვილის შესახებ ..... 219
14. ჭორაობის შესახებ ..... 223
15. კრიტიკის შესახებ ..... 227
16. ღმერთის რწმენის შესახებ ..... 231
17. მეხსიერების შესახებ ..... 236
18. დაჰყვე იმას, „რაც არის“ ..... 241
19. ლოცვისა და მედიტაციის შესახებ ..... 243
20. ცნობიერი და არაცნობიერი გონების შესახებ ..... 250
21. სექსის შესახებ ..... 256
22. სიყვარულის შესახებ ..... 262
23. სიკვდილის შესახებ ..... 266
24. დროის შესახებ ..... 269
25. მოქმედების შესახებ, რომელიც იდეაზე
არ არის დაფუძნებული ..... 275
26. ახლის და ძველის შესახებ ..... 278
27. სახელდების შესახებ ... ..... 281
28. ცნობილისა და უცნობის შესახებ ..... 288
29. ჭეშმარიტება და სიცრუე ..... 292
30. ღმერთის შესახებ ..... 298
31. მყისიერი გაცნობიერების შესახებ ..... 302
32. უბრალოების შესახებ ..... 306
33. ზედაპირულობის შესახებ ..... 308
34. აზრის ბანალურობის შესახებ ..... 310
35. გონების სიწყნარის შესახებ ..... 312
36. სიცოცხლის აზრის შესახებ ..... 316
37. გონების დაბნეულობის შესახებ ..... 318
38. ტრანსფორმაციის შესახებ ..... 321

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები ..... 327-329

## ავტორის შესახებ

„ერთადერთი ჩემი საზრუნავი ის არის, რომ გავხადო ადამიანი აბსოლუტურად, უპირობოდ თავისუფალი“ – ამტკიცებდა ინდოელი ფილოსოფოსი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სულიერი ლიდერი ჯიდუ კრიშნამურტი. ადამიანი, რომელმაც უარი თქვა მესიის როლზე ჭეშმარიტების სიყვარულის გამო, რომელსაც ის „უგზო ქვეყანას“ უწოდებდა: „ჭეშმარიტება, ეს უგზო ქვეყანაა, – ამბობდა ის – და თქვენ ვერ შეძლებთ მასთან მისვლას, რომელი გზითაც არ უნდა ისარგებლოთ, როგორიც არ უნდა იყოს რელიგიური მიმართულება, თუ სკოლა“. კრიშნამურტი მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გამოდიოდა ლექციებით, მოუწოდებდა ადამიანებს უარი ეთქვათ თავიანთ იდეოლოგიურ შეხედულებებზე და დამოუკიდებლად ეაზროვნათ. ფილოსოფოსი მსჯელობდა რწმენის ბუნებაზე, ჭეშმარიტებაზე, უბედურებებზე, თავისუფლებაზე, სიკვდილზე.

ჯიდუ კრიშნამურტი 1895 წლის 11 მაისს დაიბადა ინდოეთში, მადანაპალეში, ბრაჰმანის ოჯახში. გარდაიცვალა 1986 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიაში. ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ თვისებებს ამჟღავნებდა და მას უწინასწარმეტყველებდნენ, რომ კაცობრიობის დიდი მას-

ჯიდუ კრიშნამურტი

---

# პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

## პირველი ნაწილი

### თავი I
### შესავალი

სხვებთან ურთიერთობა, მაშინაც კი, თუ ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ძალიან ძნელია. მე შეიძლება გამოვიყენო სიტყვები, რომელთაც შესაძლოა თქვენთვის და ჩემთვის სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. გაგება მაშინ მოდის, როცა ჩვენ, თქვენ და მე ვხვდებით ერთსადაიმავე დონეზე და ერთსადაიმავე დროს. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა, ადამიანებს შორის ნამდვილი მიზიდულობა არსებობს – ცოლსა და ქმარს შორის, ახლობელ ადამიანებს შორის. აი, ეს არის ნამდვილი ურთიერთობა. მყისიერი გაგება მაშინ ჩნდება, როცა ჩვენ ვხვდებით ერთსადაიმავე დონეზე ერთსადაიმავე დროს.

ძალიან ძნელია სხვებთან ურთიერთობა, ურთიერთობა – ადვილი, ნაყოფიერი, ქმედითი. მე უბრალო სიტყვებს ვიყენებ და არა ტექნიკურ ტერმინებს, იმიტომ, რომ არ ვფიქრობ თითქოს რაღაც ტექნიკური შინაარსის გამოთქმას შეუძლია დაგვეხმაროს ჩვენი ძნელი პრობლემების გადაჭრაში. ასე რომ, მე არ გამოვიყენებ ტექნიკურ, ფსიქოლოგიურ და სამეცნიერო ტერმინებს. საბედნიეროდ, არასოდეს მიკითხავს წიგნები არც ფსიქოლოგიაზე და არც რელიგიაზე. მე მინდა ყველაზე მარტივი სიტყვებით, რომლითაც ვსარგებლობთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოვხატო უფრო ღრმა აზრი, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან ძნელია, თუ თქვენ მოსმენა არ შეგიძლიათ.

მოსმენა – ხელოვნებაა – იმისათვის, რომ შეგეძლოს მართლა მოუსმინო, უნდა მიატოვო ან გვერდზე გადადო ყველა ცრურწმენა, ყველა წინასწარ მიღებული ფორმულირება, ყოველდღიური საქმიანობა. როცა თქვენი გონება აღქმისუნარიანი იქნება, ყველაფრის გაგებას ადვილად შეძლებთ. თქვენ უსმენთ მაშინ, როცა მთელი თქვენი ყურადღება რაღაცისკენაა მიმართული, მაგრამ, სამწუხაროდ ადამიანების უმრავლესობა წინააღმდეგობის შირმის მიღმიდან უსმენს. ჩვენ ვიმალებით ჩვენი ცრურწმენების, რელიგიურის თუ სულიერის, ფსიქოლოგიურის თუ სამეცნიეროს, ან ჩვენი ყოველდღიური საზრუნავების, სურვილების და შიშის შირმის მიღმა. და ამ შირმებით გარშემორტყმულნი ვუსმენთ. სინამდვილეში კი ჩვენს საკუთარ ხმებს ვუსმენთ, ჩვენს საკუთარ ჟღერადობას და არა იმას, თუ რას გვეუბნებიან. უკიდურესად ძნელია მოიშორო შენი აღზრდა, ცრურწმენები, აზრები, მიდრეკილებები, წინააღმდეგობა და ვერბალური გამოთქმის საზღვრებს მიღმა უსმინო ისე, რომ მყისიერად გაიგო. აი ერთ-ერთი ის სიძნელე, რომლის დაძლევა მოგვიწევს.

თუ ჩვენი საუბრების განმავლობაში რამე ისეთი იქნება ნათქვამი, რაც თქვენს აზრებს და რწმენას ეწინააღმდეგება, უბრალოდ უსმინეთ. ნუ შეეწინააღმდეგებით. შეიძლება თქვენ მართალი ხართ და მე ვცდები, მაგრამ როცა ერთად მოვუსმენთ და ერთად ვიმსჯელებთ, ჩვენ ჭეშმარიტებას მივაგნებთ. ჭეშმარიტება შეუძლებელია ვინმესგან მოგეცეთ. თქვენ უნდა აღმოაჩინოთ ის, იმისთვის კი, რომ აღმოაჩინოთ, გონება მუდმივი აღქმის მდგომარეობაში უნდა იყოს. უშუალო აღქმა შეუძლებელია, როცა არსებობს წინააღმდეგობა, უსაფრთხოების და თავდაცვის წყურვილი. გაგება მოდის იმის გაცნობიერებით, რაც არის. ზუსტად იცოდე ის, რაც არის – რეალობა – მისი ინტერპრეტაციის, განსჯის თუ გამართლების გარეშე. სინამდვილე. აი, სიბრძნის უდავო საწყისი. და თუ ჩვენ ვიწყებთ მის ინტერპრეტაციას, ჩვენი განპირობებულობის, ჩვენი ცრურწმენების ენაზე გადაყვანას, სწორედ მაშინ გვისხლტება ხელიდან ჭეშმარიტება. ბოლოს და ბოლოს, ეს სამეცნიერო კვლევას ჰგავს. რომ იცოდე, რა არის

## გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
12. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
29. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

35. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

39. ოშო – რა არის მედიტაცია?
40. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

41. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
42. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

43. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
44. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

45. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
46. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

47. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
48. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
49. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
50. გიორგი გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის

51. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
52. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

53. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
54. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

55. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
56. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
57. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

58. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
59. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
60. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

61. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
62. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
63. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე